მიხეილ ლაგვილავა

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
Sciences Po, საფრანგეთი

კავკასიის უნივერსიტეტმა შესაძლებლობა მომცა, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში 2025 წლის გაზაფხულის სემესტრი გამეტარებინა საფრანგეთში, Sciences Po-ს რეიმსის კამპუსში, რაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ დასამახსოვრებელ და შთამბეჭდავ მომენტად იქცა.

პროგრამის ფარგლებში საშუალება მომეცა, შევხვედროდი უამრავ საინტერესო სტუდენტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და მქონოდა მათთან ყოველდღიური კომუნიკაცია როგორც აკადემიურ გარემოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ცხოვრება ქალაქში, სადაც შემონახულია საფრანგეთის უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობა, და სწავლა უნივერსიტეტში, რომელიც გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხითა და სტანდარტებით, დამეხმარა, გამეფართოვებინა თვალსაწიერი, როგორც კულტურულ, ასევე აკადემიურ ჭრილში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომუნიკაცია მქონდა პოლიტიკურ მეცნიერებებში განსწავლულ ლექტორებთან და სტუდენტებთან, რამაც ცალსახად იქონია გავლენა ჩემს პროფესიულ განვითარებასა და კრიტიკულ აზროვნებაზე, რადგან მუდმივად ვისმენდი განსხვავებული პერსპექტივიდან აღქმულ მოსაზრებებს.

ასევე, მქონდა საშუალება მონაწილეობა მიმეღო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში.

გარდა ამისა, დავუმეგობრდი უამრავ ადამიანს, რაც ჩემთვის საკმაოდ ფასეულია. მუდმივად ვცდილობდი, ჩემი სამშობლო ღირსეულად წარმომეჩინა და დარწმუნებული ვარ, ყველას დადებითი შთაბეჭდილება შევუქმენი საქართველოზე.